


საიდ. N 77698/03

IR 959003

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N112-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ა. დალაქიშვილი, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „პერფეტი ვან მელე ს.პ.ა.“ (Perfetti Van Melle S.p.A) N112-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1570/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის  (საიდ. N77698/03, IR 959003) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).



სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :


სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1570/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N77698/03, IR 959003) მსგავსია კომპანიის „სოქ მარქეტლერ თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“ სახელზე 30-ე კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისთვის საქპატენტში რეგისტრირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა  (რეგ. N 16335, რეგ. თარიღი: 2005-11-15) ასევე კომპანიის „ალ-ნამურა, სპოლ. ს რ.ო.“ (Al-Namura, spol. s r.o.) სახელზე 30-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა  (IR 1104585, საერთაშორისო რეგისტრაციის და საქართველოზე გავრცელების თარიღი 2011-10-26). განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ აღრევაგამდე მსგავსი ჟღერადობა. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში დამატებით სიტყვიერი ელემენტების - „CENTER“ და „BIG ENERGY“, არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას, რადგან ნიშნებში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს სიტყვიერი ელემენტი - „SHOCK“, რომელიც სამივე შემთხვევაში წარმოადგენილია ერთმანეთის მსგავს ფიგურულ ნაწილებთან კომბინაციაში. გამოსახულებებში არის მცირედი სხვაობა (ფერების, ფორმის, განლაგების), თუმცა ყველა მათგანი მოიცავს მსგავს ფეთქებად ფიგურებს, რის გამოც არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.


აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვის მინიჭებაზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი. აპელანტი მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ.


აპელანტის პოზიციით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N77698/03, IR 959003) წარმოადგენს სიტყვიერი და ფიგურული ნაწილებისაგან შემდგარ კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი  (IR 1104585) ასევე წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შავ-თეთრია. ნიშნის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულია სიტყვა „SHOCK“, რომელიც შესრულებულია სტილიზებული ლათინური ანბანით, ხოლო ზედა ნაწილში განლაგებულია სიტყვიერი ელემენტი - „CENTER“. სიტყვიერი ელემენტის „SHOCK“ ორივე მხარეს განლაგებულია ელვის ფორმის ფიგურები, რომლებიც ასევე ასო „Z“-ს მოაგონებს მომხმარებელს. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს, იგი შესრულებულია ყვითელ, წითელ და შავ ფერებში. სასაქონლო ნიშნის შუაში განლაგებულია სიტყვიერი ელემენტი - „SHOCK!“, ხოლო მის ზემოთ განლაგებულია ყვითელ ფერში შესრულებული სიტყვიერი ელემენტი - „BIG“ და შავად ჩაწერილი სიტყვიერი ელემენტი - „ENERGY“. აპელანტი მიიჩნევს, რომ მიუხედავად ნიშნების ცალკეული ელემენტების მსგავსებისა, საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება განსხვავებულია, რაც გამორიცხავს აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

აპელანტის აზრით, ნიშნები საკმაოდ განსხვავებულია ფონეტიკური თვალსაზრისითაც. გასაგრძელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „სენ-ტერ შოკ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - „ბიგ ენერჯი შოკ“. აპელანტი აღნიშნავს, რომ ფონეტიკური თვალსაზრისით ნიშნების მსგავსება მინიმალურია, რადგან ემთხვევა მხოლოდ ბოლო სიტყვები, ხოლო სასაქონლო ნიშნების საწყისი სიტყვები „სენტერ“ და „ბიგ ენერჯი“ აბსოლუტურად განსხვავებულად გამოითქმის, რაც გამორიცხავს აღრევის შესაძლებლობას. ამასთან, სასაქონლო ნიშნებში განსხვავებულია სიტყვების რაოდენობა, რაც კიდევ უფრო ზრდის ნიშნების განსხვავებას ფონეტიკური თვალსაზრისით და გამორიცხავს სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევას. აპელანტის მტკიცებით, ნიშნები განსხვავდება ასევე, სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართულად ნიშნავს „შოკი ცენტრში“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი „დიდი ენერჯის შოკი“. სიტყვები „CENTER“, „ENERGY“, და „SHOCK“ ქართულ ენაზეც თითქმის იგივენაირად გამოითქმის, როგორც ინგლისურად, სიტვის „BIG“ მნიშვნელობა იცის ელემენტარული დონის ინგლისურის მცოდნე პირმა. შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ მნიშვნელობას აღიქვამს საშუალო დონის ქართველი მომხმარებელი, რაც მინიმალურს ხდის ნიშნებს შორის აღრევისა და შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი  (რეგ. N16335) ასევე კომბინირებული ნიშანია. სასაქონლო ნიშნის შუაში განლაგებულია სიტყვიერი ელემენტი - „SHOCK“, ხოლო მის გარშემო კი ზიგზაგისებური გამოსახულება. აპელანტი მიიჩნევს, რომ მიუხედავად ნიშნების ცალკეული ელემენტების მსგავსებისა, საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება განსხვავებულია, რაც გამორიცხავს აღრევასა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. ნიშნები საკმაოდ განსხვავებულია ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული საერთაშორისო




სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N77698/03, IR 959003) ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „სენ-ტერ შოკ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - „შოკ“. აპელანტი აღნიშნავს, რომ ფონეტიკური თვალსაზრისით დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსება მინიმალურია, რადგან ემთხვევა მხოლოდ ბოლო სიტყვა, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის საწყისი სიტყვა „სენტერ“ განმასხვავებლობას სძენს ნიშანს და გამორიცხავს აღრევის შესაძლებლობას. სხვადასხვა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში სიტყვების რაოდენობა, რაც კიდევ უფრო ზრდის ნიშნების განსხვავებას ფონეტიკური თვალსაზრისით და გამორიცხავს აღრევას.

აპელანტის მტკიცებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ასევე სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „შოკი ცენტრში“. ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი „შოკი“. უფრო მეტიც სიტყვები „CENTER“ და „SHOCK“ ქართულ ენაზეც თითქმის იგივენაირად გამოითქმის, როგორც ინგლისურად. შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ მნიშვნელობას აღიქვამს საშუალო დონის ქართველი მომხმარებელი, რაც მინიმალურს ხდის ნიშნებს შორის აღრევისა და შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1570/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის  (საიდ. N77698/03, IR 959003) დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. (30-ე კლასი)



სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N112-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული კომბინირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N77698/03, IR 959003) და დაპირისპირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნები  (IR 1104585) და  (რეგ. N 16335) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად. განხცადებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს სიტყვიერ და გამოსახულებით ელემენტებს. განცხადებული სასაქონლო ნიშნის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულია სიტყვიერი ელემენტი - „SHOCK“, ხოლო მის ზედა ნაწილში ნახევარწრიულად მოთავსებულია ასევე ლათინური ანბანით, თეთრ ფერში შესრულებული სიტყვიერი ელემენტი - „CENTER“. განცხადებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებით ელემენტებს წარმოადგენს: ასო-ნიშნის - „O“ უკან მოთავსებული ფეთქებადი ფორმის ფიგურა და მის გვერდებში განლაგებული ელვის ფორმის ფიგურები.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი  (IR 1104585) ასევე მოიცავს სიტყვიერ და გამოსახულებით ელემენტებს. სასაქონლო ნიშნის ქვედა ნაწილში განლაგებულია ლათინური ანბანის სტანდარტული შრიფტით, შავ ფერში შესრულებული სიტყვიერი ელემენტი - „SHOCK“, ხოლო მის ზედა ნაწილში მოთავსებულია ლათინური ანბანის სტანდარტული შრიფტით, ყვითელ ფერში შესრულებული სიტყვიერი ელემენტი - „BIG“ და შავ ფერში შესრულებული სიტყვიერი ელემენტი - „ENERGY“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებით ელემენტს წარმოადგენს: წითელ და ყვითელ ფერებში შესრულებული ფეთქებადი ფორმის ფიგურა.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი  (რეგ. N 16335) განცხადებული სასაქონლო ნიშნის მსგავსად, მოიცავს სიტყვიერ და გამოსახულებით ელემენტებს. სასაქონლო ნიშნის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულია ლათინური ანბანის სტანდარტული შრიფტით, თეთრ ფერში შესრულებული სიტყვიერი ელემენტი - „SHOCK“. სასაქონლო ნიშნის გამოსახულებით ელემენტებს წარმოადგენს: ასო-ნიშნის - „O“ უკან განთავსებული ფეთქებადი ფორმის ფიგურა და რომბის ფორმის გამოსახულება. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში დამატებითი სიტყვიერი ელემენტების - „CENTER“ და „BIG ENERGY“, არსებობა და გამოსახულებებში არსებული მცირედი სხვაობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტების განლაგების მიხედვით ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვიერ ელემენტზე - „SHOCK“. ამასთან, ყველა მათგანი მოიცავს მსგავს ფეთქებად ფიგურებს. განსაკუთრებით, დიდია მსგავსება განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს  (რეგ. N 16335) შორის. ორივე სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი - „SHOCK“ მოთავსებულია ცენტრალურ ნაწილში და მის უკან განთავსებულია ფეთქებადი ფორმის ფიგურა.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ, გამოითქმის, როგორც - „სენტერ შოკ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები გამოითქმის, როგორც - „ბიგ ენერჯი შოკ“ და „შოკ“. სამივე სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ელემენტს - „SHOCK“, რომელიც იდენტურად გამოითქმის.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სემანტიკური თვალსაზრისით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია. გამომდინარე იქიდან, რომ სამივე სასაქონლო ნიშანში დომინანტი ელემენტია - „SHOCK“, რომელიც ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „შოკი“, „გაოცება“, „გაკვირვება“.

რაც შეეხება განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, სამივე სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 30-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის, რაც კიდევ უფრო ზრდის მათი აღრევის შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „პერფეტი ვან მელე ს.პ.ა.“ (Perfetti Van Melle S.p.A) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N112-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების,

გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1570/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ა. დალაქიშვილი